თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის

სხდომის ოქმი №10

თბილისი, 1-ელი ნოემბერი, 2024

სხდომას ესწრებოდნენ:

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის (შემდგომ – კომისია) წევრები:

- რატი ბრეგაძე – კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს იუსტიციის მინისტრი;
- ბექა ძამაშვილი – კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე;
- მანანა ბეგიაშვილი – კომისიის მდივანი, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსი;
- ალექსანდრე დარახველიძე – საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე;
- გრიგოლ გიორგაძე – საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე;
- მიხეილ დუნდუა – საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე;
- გელა გელაძე – საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე;
- გიორგი ცაგარეიშვილი – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე;
- ნათია მერებაშვილი – საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილე;
- გიორგი კვარაცხელია – სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე;
- ნატო ზაალიშვილი – სახელმწიფო აუდიტის სამსახურის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი;

- გოგი ჩიქოვანი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფროსი;
- გიორგი შარაბიძე – ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

კომისიის სამდივნოს წევრები:

- ლანა ბათლიძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსის მოადგილე (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე);
- თორნიკე არჯევანიძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;
- მარიამ ნიშნიანიძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

მოწვეული უწყებების წარმომადგენლები:

- იოსებ ლოლაშვილი – ცენტრალური საარჩევნო კომისიის იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი;
- ნიკოლოზ როსებაშვილი – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი;
- ბექა ზეგარდელი – საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის იურიდიული მთავარი სამმართველოს უფროსი;
- გიორგი ტაბატაძე – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტის დირექტორი.

საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციები:

- ანნა მელიქიანი – OSCE/ODIHR;
- თაია არაბული – თარჯიმანი/თანაშემწე (OSCE/ODIHR);

- ნატაშა როთჩაილდი – „ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის“ (NDI) 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის დირექტორი;
- თამარ ბასილაია – თარჯიმანი/თანაშემწე (NDI).

ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციები:

- დანიელ დავითაშვილი – ა(ა)იპ „საქართველოს პროფესიული განათლებისა და კვალიფიციური კადრების მომზადების მუშაკთა და სტუდენტთა პროფესიული კავშირის“ თავმჯდომარე;
- გრიგოლ გაგნიძე – ა(ა)იპ „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია“;
- ტატიანა ხოხიაშვილი – ა(ა)იპ „ახალი თაობა – დემოკრატიული საქართველოსათვის“;
- ალექსანდრე ახალკაცი – ა(ა)იპ „ახალგაზრდები ახალგაზრდობისა და მომავლისათვის“.

პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები:

- გივი მიქანაძე – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“.

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა რატი ბრეგაძემ, სხდომის გახსნის შემდგომ კომისიის წევრებს და მოწვეულ სტუმრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის სხდომის გახსნა;
2. მედიაში გავრცელებული ინფორმაცია კენჭისყრის დღეს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის თაობაზე;
3. კომისიის წევრების მოსმენა მედიამონიტორინგის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე რეაგირების შესახებ;
4. სხვადასხვა.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა კენჭისყრის დღეს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევას, სიტყვა გადაეცა ცესკო-ს თავმჯდომარის მოადგილეს, ბატონ გიორგი შარაბიძეს.

უპირველეს ყოვლისა, ბატონმა გიორგიმ მადლობა გადაუხადა უწყებათაშორისი კომისიის საქმიანობაში ჩართულ უწყებებს, მათი კომპეტენციის ფარგლებში, საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ საარჩევნო პროცესში გამოვლენილი თანადგომისთვის, ხოლო ამის შემდგომ მიმოიხილა კენჭისყრის დღეს მიმდინარე მოვლენები. მისი თქმით, უმრავლეს უბნებზე საარჩევნო პროცესი მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში; რამდენიმე ათეულ უბანთან გარეთ იყო ერთგვარი დაძაბულობა, რაც არ წარმოადგენს საარჩევნო ადმინისტრაციის კომპეტენციას, რამდენადაც უწყება პასუხისმგებელია მხოლოდ საარჩევნო უბანზე, შენობაში მიმდინარე პროცესებზე. რაც შეეხება კენჭისყრის პროცესს, დღის განმავლობაში ვრცელდებოდა რამდენიმე მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელთაგან ერთ-ერთი იყო ცნობები მარკირების სითხის პრობლემურობის შესახებ. ამაზე უნდა ითქვას, რომ იქვე, კენჭისყრის დღეს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ერთგვარი ექსპერიმენტიც ჩატარდა, თუ რა სითხე იყო ნაყიდი, როგორ მოქმედებდა ის და როგორ აისახებოდა იგი ამომრჩევლის ხელზე; ასე რომ, ამ საკითხთან დაკავშირებით გავრცელებული ინფორმაცია გაუგებარია. აღსანიშნავია ისიც, რომ საარჩევნო ადმინისტრაციისთვის ამ მხრივ ოფიციალურად არც არავის მოუმართავს. პროცედურულ ნაწილთან დაკავშირებით ბატონმა გიორგიმ განაცხადა, რომ თუ ვინმე არ ატარებდა ან ვერ ატარებდა, ან პროცედურის დარღვევით ამოწმებდა მარკირებას, ამასთან დაკავშირებით არის საჩივრები, მათ შორის, საჩივრების უმრავლესობა სწორედ დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხს შეეხება, რაც ითვალისწინებს საარჩევნო მოხელეების არასწორ ან პროცედურიდან გადახვეულ ქმედებას. საკითხთან დაკავშირებით საჩივრები განიხილება და ეს პროცესი გრძელდება.

მარნეულის 69-ე უბნის თაობაზე ცესკო-ს თავმჯდომარის მოადგილემ აღნიშნა, რომ შესაბამისი კადრების ნახვისთანავე საარჩევნო ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ჩაატარა ბრიფინგი და საოლქო საარჩევნო კომისიისგან მოთხოვნილ იქნა სასწრაფო რეაგირება; საბოლოოდ ამ უბანზე კენჭისყრა გაუქმდა. რაც შეეხება მრავალჯერად ხმის მიცემას, კვლავ მარნეულთან დაკავშირებით დაიწერა ერთადერთი კონკრეტული საჩივარი და ამასთან დაკავშირებით საარჩევნო ადმინისტრაცია, რა თქმა უნდა, ქვემდგომ დონეზე მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

ვერიფიკაციის მანქანების და მათი გაუმართაობის შესახებ ბატონმა გიორგიმ განაცხადა, რომ, მარტივი სტატისტიკის შესაბამისად, ამ არჩევნებზე ტექნოლოგიურ უბნებს, რომელთა რიცხვიც იყო 2 263, ემსახურებოდა 15 000-ზე მეტი მოწყობილობა და მთელი არჩევნების განმავლობაში მწყობრიდან გამოვიდა მხოლოდ 20, თუმცა, ამ 20-ის შემთხვევაშიც იმგვარად იყო სისტემა გადაზღვეული, რომ ტექნიკის მწყობრიდან გამოსვლას ხელი არ შეუშლია ელექტრონული კენჭისყრის გაგრძელებისთვის; უბანზე ვერიფიკაციის აპარატთა რაოდენობა ამომრჩეველთა რაოდენობის მიხედვით არის 2 ან, მაქსიმუმ, 3. შესაბამისად, 1 აპარატის მწყობრიდან გამოსვლა არ იწვევდა რაიმე ტიპის შეფერხებას, რადგან ყველა დანარჩენი აგრძელებდა დაუბრკოლებელ მუშაობას. საერთაშორისო პრაქტიკა აჩვენებს, რომ სადაც „სმარტმატიკს“ ჩაუტარებია მსგავსი ტიპის არჩევნები, განსაკუთრებით, პირველი დიდი პროექტისას, საუკეთესო შედეგი ის იყო, რომ მხოლოდ მანქანების 1% გამოვიდა მწყობრიდან, თუმცა, საქართველოს შემთხვევაში ეს პროცენტული მაჩვენებელი კიდევ უფრო დაბალია. ასე რომ, რაიმე ტიპის რეალური პრობლემა ტექნოლოგიების გამოყენებას საარჩევნო პროცესში არ ჰქონია; პროცესი იმგვარად იყო დაგეგმილი, რომ ყველა ტიპის დაზღვევა იყო გათვალისწინებული. თავად ის ფაქტი, რომ 2 263 უბნიდან არცერთში არ გაჩერებულა ელექტრონული კენჭისყრა, მეტყველებს დაგეგმარებისა და ლოგისტიკის გამართულობაზე.

ცესკო-ს თავმჯდომარის მოადგილემ აღნიშნა, რომ არჩევნების წინასწარი შედეგების გამოცხადებიდან, დაახლოებით, ორ საათში დაიწყო პირველი გაუგებრობები, რაც უკავშირდებოდა იმას, თითქოს ცესკო-ს ვებგვერდზე ასახული მონაცემები არ შეესაბამებოდა გამოცხადებულ მონაცემებს. ამ საკითხთან მიმართებით გვიან ღამით გაიმართა ბრიფინგი და დაინტერესებულ საზოგადოებას განემარტა, რომ შედეგების ვებგვერდს ჰქონდა ორი ღილაკი, რომელზე დაჭერის შემთხვევაშიც შესაძლებელი იქნებოდა ყველა შესაბამისი მონაცემის ნახვა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ოქმები არცერთი წამით არსად არ დაყოვნებულა და პირდაპირ იტვირთებოდა ცესკო-ს ვებგვერდზე; მეტიც, 7 უბნის შემთხვევაში ადგილი ჰქონდა შეცდომას, კერძოდ, 3 მთვლელი მანქანის პირობებში კომისიამ შეცდომით მოახდინა მხოლოდ 2 მანქანის შედეგების სინქრონიზება და ეს ქვითარი გამოაგზავნა ცესკო-ში; შემდგომ, როდესაც მიხვდნენ, რომ მე-3 მანქანის სინქრონიზება არ მომხდარა, ყველას თვალწინ ხელახლა გააკეთეს მანქანების სინქრონიზება და თავიდან გამოგზავნეს ქვითარი. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, რაიმე კითხვის ნიშანი რომ არ გაჩენილიყო, თვალსაჩინოებისთვის ცესკო-მ პირველი ქვითარიც დატოვა

ვებგვერდზე და შემდგომ სწორად შემოსული ქვითარიც მიუტვირთა გვერდით, რათა დაინტერესებულ პირს შესძლებოდა, ბოლომდე ენახა ყველა ინფორმაცია, რა როგორ ვითარდებოდა საარჩევნო უბანზე.

შემაჯამებელ ოქმებთან დაკავშირებით ბატონმა გიორგიმ განაცხადა, რომ ვერც საიტზე, ვერც რეალურ ინფორმაციაში და ვერც გადათვლების შედეგად ცესკო ვერ ცვლის ინფორმაციას ვენდორი კომპანიის („სმარტმატიკის") თანხმობის გარეშე; აქ მუშაობს ე.წ. ორმაგი გასაღების სისტემა, რაც გულისხმობს იმას, რომ ამ მნიშვნელოვან საკითხებთან მიმართებით (რაც იწვევს შემაჯამებელი ოქმების რაიმე ტიპის ცვლილებას, თუნდაც, გამოსახულების ცვლილებას) მოთხოვნილია ორმაგი დადასტურება. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს უმაღლესი ხარისხის დაცულობის სტანდარტზე შედეგებთან დაკავშირებით.

ცესკო-ს თავმჯდომარის მოადგილემ ისაუბრა კენჭისყრის მომდევნო დღეს გავრცელებულ სხვადასხვა ინფორმაციაზე, რომ თითქოს განხორციელდა არჩევნების მანიპულირება. ამ მხრივ, იმ მოსაზრებასთან დაკავშირებით, რომ ვერიფიკაციის აპარატებში შესაძლებელი იყო მონაცემების დუბლირება, ბატონმა გიორგიმ აღნიშნა, რომ ცესკო-ს შეკვეთილი ჰქონდა იმ ამერიკული კომპანიის აუდიტი, რომელიც არის ამერიკის საარჩევნო დახმარების კომისიის მიერ აკრედიტებული ორი კომპანიიდან ერთ-ერთი და აქვს უფლება, ამერიკაში მსგავსი ტიპის ტექნოლოგიების შესაბამისობის აუდიტი ჩაატაროს, თუ რამდენად შეესაბამება ტექნოლოგიები მასში გაწერილ ფუნქციებს. ცესკო-ს თავმჯდომარის მოადგილის თქმით, კენჭისყრიდან მეორე დილას ცესკო-მ მიიღო სწორედ ზემოაღნიშნული კომპანიის პირველი და მეორე ფაზის აუდიტის დასკვნა, სადაც პირდაპირ წერია, რომ ტექნოლოგიას და გაწერილ პროცესს არ შეუძლია ერთი ამომრჩევლის ორჯერ ჩაწერა ვერიფიკაციის მანქანაში; განსაკუთრებით ხაზგასასმელია აუდიტის დასკვნის ის ჩანაწერი, რომ ტექნოლოგიურად შეუძლებელია ვერიფიკაციის მანქანაში ერთი ამომრჩევლის ორჯერ ჩაწერა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ კენჭისყრის დღეს, დილით, ყველა მანქანიდან ამოიბეჭდა ამომრჩეველთა მთელი სია და გაიკრა საარჩევნო უბანზე თვალსაჩინოებისთვის, რათა ნებისმიერს შესძლებოდა მისი ნახვა. აუდიტმა ისიც კი დაასკვნა, რომ მანქანას არ შეუძლია სხვა რამის ამობეჭდვა, გარდა იმისა, რაც მასშია ჩაწერილი. ასე რომ, ამ მხრივაც დაზღვეული იყო პროცესი.

ბატონი გიორგი შეეხო სოციალურ ქსელში გავრცელებულ იმ მოსაზრებასაც, თითქოს ხმის დამთვლელი მანქანები ავტომატურად ცვლიდა ბიულეტენების შედეგებს და მას ითვლიდა ისე,

როგორც ამას ალგორითმი უკვეთავდა და არა ამომრჩევლის ნების შესაბამისად. მისი თქმით, ზემოაღნიშნული აუდიტის დასკვნის მიხედვით ესეც შეუძლებელია, რადგან მანქანა ზუსტად ასახავს იმას, რა არჩევანიც ამომრჩეველმა გააკეთა.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებისა და ამომრჩეველთა სიების შესაძლო შეუსაბამობის საკითხზე ცესკო-ს თავმჯდომარის მოადგილემ განაცხადა, რომ ეს მეტად ადვილად გასაშიფრი მანიპულაცია იყო – მარტივი ენით რომ ვთქვათ, სტატისტიკის ეროვნული სამსახური მოსახლეობას აღწერს დეფაქტო, ამომრჩეველთა სია კი არის დეიურე.

ამ ინფორმაციას გამოეხმაურა ბატონი რატიც. მისი თქმით, ბანერი ძალიან დეზინფორმატიულად იყო შედგენილი და ადვილი იყო მისი მეშვეობით ადამიანის შეცდომაში შეყვანა; არადა, შესაბამისი მონაცემისთვის საარჩევნო უფლების არმქონეთა რაოდენობის გამოკლებით მიიღება ზუსტად ის რიცხვი, რაც ცესკო-ს საიტზეა მოცემული.

ამის შემდეგ ცესკო-ს თავმჯდომარის მოადგილე შეეხო იმ გავრცელებულ ვიდეოს, რომელშიც კომისიის ფორმიანი პირი რამდენიმე ბიულეტენს უშვებს ხმის მთვლელ მანქანაში. მისი თქმით, სინამდვილეში ეს წარმოადგენს გადასატანი ყუთის პროცედურას, რომელიც წინასწარ იცის ყველა ჩართულმა მხარემ და სადაც კი გადასატანი ყუთი არსებობდა, ყველა უბანზე მსგავსი პროცედურა განხორციელდა, რამდენადაც პროცედურა ითვალისწინებს ამას, რომ გადასატანი ყუთი იხსნება, კომისიის პასუხისმგებელი პირი ფარულობის დარღვევის გარეშე, ანუ ჩარჩო-კონვერტიანად იღებს გადასატანი ყუთიდან ბიულეტენს და ათავსებს მას ხმის მთვლელ მანქანაში; შესაბამისად, იმ პიროვნებამ, რომელიც ვიდეოში ჩანს, ყოველგვარი კანონის დაცვით განახორციელა ზემოაღნიშნული ქმედება.

ბატონმა გიორგიმ ისაუბრა ბიულეტენების ხელით გადათვლის საკითხზეც. მან აღნიშნა, რომ მონაცემები არის 99%-ით იგივე, რაც მანამდე იყო, ხოლო მეორე დღეს შემთხვევითი შერჩევის პრინციპით 73 ოლქში გადათვლილ იქნა 5 საუბნო საარჩევნო კომისიის მონაცემი და აქაც შეიძლება ითქვას, რომ შედეგები, ფაქტობრივად, იგივე დარჩა. არის ძალიან მცირე განსხვავებები 1-2 ბიულეტენის მხრივ, რაც, რა თქმა უნდა, შედეგებზე გავლენას ვერ ახდენს; ხოლო ამის შემდეგ ხელით შედგენილი მცირედ პრობლემური ოქმებიც იქნა გადათვლილი და ყველა პრობლემა აღმოიფხვრა. აღსანიშნავია, რომ ყველა ეს გადათვლა განხორციელდა საერთაშორისო და ადგილობრივი დამკვირვებლების და ყველა ჩართული პირის თანდასწრებით. ამასთან,

ხაზგასასმელია ის ფაქტიც, რომ შემაჯამებელ ოქმებს 2 000-ზე მეტი უბნის შემთხვევაში ხელს აწერს კომისიის 15-16 ან 17 წევრი, რაც ნიშნავს იმას, რომ საუბნო საარჩევნო კომისიებში არსებული პოლიტიკური პლურალიზმი ასახულია საუბნო საარჩევნო კომისიების შემაჯამებელ ოქმებზე; ამას გარდა, უნდა ითქვას, რომ შეიძლება კომისიის წევრმა ხელი მოაწეროს ოქმს, მაგრამ თუ ის არ ეთანხმება ოქმის მონაცემებს, მას უნდა დაურთოს განსხვავებული აზრი – 3 111 უბნიდან სულ 9 განსხვავებული აზრია სახეზე.

რაც შეეხება ხმის ფარულობის შესაძლო დარღვევას (გამოჟონილი მელანი), ბატონმა გიორგიმ განაცხადა, რომ ცესკო-მ მელანიც და ქაღალდიც შეარჩია ვენდორ კომპანიასთან ერთად; როდესაც საუბარია ხმის მთვლელ მანქანაზე, უნდა ითქვას, რომ მას აქვს ჭრილი, რომელიც ქაღალდის უფრო მაღალი გრამაჟობის შემთხვევაში უბრალოდ ვერ მიიღებს მას; მანქანას აქვს თავისი პირობა, თუ რამდენი და როგორი გრამაჟობის ქაღალდი უნდა იყოს ბიულეტენი, რათა დაუბრკოლებლად, შეფერხების გარეშე მოხდეს ხმის მიცემა; ვენდორი კომპანიის რეკომენდაციით, ცესკო-ს უნდა შეეძინა 162 გრ/სმ^2, ±20 %. აღნიშნული კომპანია იმასაც კი უშვებდა, რომ უფრო თხელი ქაღალდის გამოყენებაც კი შესაძლებელი იქნებოდა ბიულეტენების დასაბეჭდად, თუმცა, ცესკო-მ მაინც აირჩია ყველაზე მაღალი გრამაჟობის ქაღალდი (190 გრ), მაშინ, როცა 192 გრ შემთხვევაში მანქანას შეიძლებოდა შეჰქმნოდა გაჭედვის პრობლემა სისქის გამო. შესაბამისად, მაქსიმალურად მოხდა ქაღალდის დაახლოება ყველაზე შესაძლო მაღალ სისქესთან, რათა მაქსიმალურად დაზღვეული ყოფილიყო ბიულეტენი. რაც შეეხება კალმებს, ხელშეკრულების თანახმად, კალმები მთლიანად ვენდორმა კომპანიამ მიაწოდა ცესკო-ს.

ამას გარდა, ცესკო-ს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ შეიქმნა ისეთი დიზაინის ჩარჩო-კონვერტი, რომელშიც, უბრალოდ, შეუძლებელია რაიმეს დანახვა, თუ ამომრჩეველი სწორად გამოიყენებს მას. ამასთან, ხაზგასასმელია ისიც, რომ ტექნოლოგიას არ შეეძლო იმის დაფიქსირება, რომელმა ამომრჩეველმა როდის მისცა ხმა (ეს წერია აუდიტის დასკვნაშიც), ვერიფიკაცია კი არ იყო დაკავშირებული ხმის მიცემასთან და ეს ყველაფერი გაკეთდა იმისთვის, რომ ფარულობა ყოფილიყო გარანტირებული; გარდა ამისა, აკრძალული იყო, არის და იქნება ფოტო-ვიდეოგადაღება კაბინაში და აღსანიშნავია, რომ არცერთი ამგვარი ვიდეო არ გავრცელებულა, თუ არ ჩავთვლით ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის ლიდერს, რომელმაც საკუთარი ბიულეტენი დადო სოციალურ ქსელში, რაც აკრძალულია კანონით და ამაზე ცესკო-მ გააკეთა შესაბამისი განცხადება.

მელანთან დაკავშირებით ბატონმა გიორგიმ განაცხადა, რომ 2 263 ტექნოლოგიურ უბანზე კენჭისყრის დღეს მელნის გამოჟონვის საკითხზე დაიწერა 7 საჩივარი. შესაბამისად, თუ ეს იყო კონსტიტუციური უფლების მასობრივი დარღვევა, როგორც ამას სამი დღის შემდეგ ამტკიცებს ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაცია, გაუგებარია, რატომაა ამ საკითხზე 7 საჩივარი და რატომ ამბობს ყველა საერთაშორისო ორგანიზაციის დასკვნა, რომ კენჭისყრის დღე იყო კარგად ადმინისტრირებული. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ თუ ჩარჩო-კონვერტი ბოლომდე ეჭირა ამომრჩეველს და სპეციალური ინსტრუქციაც კი შემუშავდა (მათ შორის, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ და „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ მონაწილეობით), რომ ბიულეტენი უნდა ყოფილიყო სუბიექტებით დაბლა სწორედ იმიტომ, რომ მანქანაში შეცურების წამიერ მომენტშიც კი შეუძლებელი ყოფილიყო არჩევანის დანახვა და კომისიის წევრებიც იმგვარად იყვნენ ინსტრუქტირებული, რომ სწორედ ასე აკეთებინებდნენ ამომრჩეველს ყველაფერს, მაშინ გაუგებარია, რაზეა საუბარი. მთავარი ამ საკითხთან დაკავშირებით ისაა, რომ ყველა პირობა, როგორც ტექნოლოგიური, ისე მატერიალური, საარჩევნო უბანზე არსებობდა, რათა ხმის ფარულობა ყოფილიყო დაცული; საერთაშორისო სტანდარტიც სწორედ ესაა: შექმნა თუ არა ხმის მიცემის ფარულობისთვის ყველა პირობა საარჩევნო ადმინისტრაციამ; რაც ფაქტია, რომ შექმნა.

ბატონმა გიორგიმ დამატებით აღნიშნა, რომ ჯერ წინაა გასაჩივრების პროცედურები და 2024 წლის 21 ნოემბრამდე იქნება მიღებული საბოლოო შემაჯამებელი ოქმი. მისივე თქმით, სამწუხაროდ, მთელი ამ პროცესების კვალდაკვალ საარჩევნო ადმინისტრაციის წევრების მიმართ ადგილი აქვს მუქარას და სიძულვილის ენას, და თუ ეს ყველაფერი გასცდება გამოხატვის თავისუფლებით დაცულ ფარგლებს, მაშინ ცესკო მიმართავს შესაბამის ორგანოებს და ჩააყენებს მათ ყველაფრის საქმის კურსში.

კომისიის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ბატონ გრიგოლ გაგნიძეს (ა(ა)იპ „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია“). მისი თქმით, 2012-13 წლებიდან აკვირდება არჩევნებს და ბიულეტენზე მელნის გაჟონვასთან დაკავშირებული განცხადებები ლოგიკას მოკლებულია. ბატონი გრიგოლის აზრით, ქაღალდის სტრუქტურასა და მელანთან დაკავშირებით უშუალოდ იმ კომპანიამ უნდა გააკეთოს განცხადება, ვინც აწარმოა ეს პროდუქტი.

ბატონი გიორგის თქმით (ბიულეტენების საკითხთან დაკავშირებით), ქაღალდის წონისა და სისქის შესახებ ინფორმაცია არის საჯარო და უშუალოდ ცესკო-მ გამოაქვეყნა საიტზე, თუ

რამდენი გრამია მითითებული კონტრაქტში. მან აღნიშნა, რომ უშუალოდ კომპანია არის დამოუკიდებელი და მის მაგივრად ცენტრალური საარჩევნო კომისია ვერ ისაუბრებს. ასევე, ნებისმიერი სხვა კონტრაქტი, რომელიც დაიდო „Smartmatic"-თან, არის საჯარო. ბიულეტენების ბეჭდვის პროცესს, გარდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის შესაბამისი წევრებისა, აკვირდებოდნენ ადგილობრივი არასამთავრობო და საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციების წარმომადგენლები. არ არსებობს რაიმე სახის ინფორმაცია, რომელიც ვინმესთვის შეიძლება ყოფილიყო ხელმიუწვდომელი ან დამალული.

სიტყვა გადაეცა ბატონ დანიელ დავითაშვილს (ა(ა)იპ „საქართველოს პროფესიული განათლებისა და კვალიფიციური კადრების მომზადების მუშაკთა და სტუდენტთა პროფესიული კავშირის" თავმჯდომარე), რომელმაც, პირველ რიგში, მიულოცა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას არჩევნების გამართულად ჩატარება. მისი ინფორმაციით, ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებს შემუშავებული ჰქონდათ ორი სქემა: პირველი სქემა შეეხებოდა არეულობების ჩატარებას უშუალოდ კენჭისყრის დღეს, რაც ვერ განახორციელეს სათანადოდ; მეორე ეხება მიმდინარე პროცესებს, რომელთაც ახორციელებენ ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები, სატელევიზიო არხები საქართველოს პრეზიდენტის თაოსნობით. ამასთან, მისი თქმით, ყველა უბნის მასშტაბით სულ დაიწერა 1170 საჩივარი, რაც არის ორჯერ ნაკლები რაოდენობა, ვიდრე 2020 წელს. ასევე, სხდომას არ ესწრებიან სხვა არასამთავრობო ორგანიზაციები, რადგან არ შეუძლიათ სხდომაზე მტკიცებულებების წარმოდგენა. ბატონმა დანიელმა აღნიშნა, რომ არჩევნები ჩატარდა უმაღლეს დონეზე. საარჩევნო უბნებზე, 1-2.5 მეტრი დაშორება იყო კედელსა და რეგისტრატორებს შორის. დამკვირვებლებს ჰქონდათ საშუალება, თავისუფლად ეწარმოებინათ დაკვირვება კენჭისყრის პროცესზე.

ბატონმა გიორგი შარაბიძემ დამატებით აღნიშნა, რომ უბნის სივრცე იძლეოდა საშუალებას, დაუბრკოლებლად, ზოგ შემთხვევაში, 1-2.5 მეტრი ყოფილიყო დაშორება კედელსა და მაგიდას შორის. დაკვირვებისთვის ხელის შეშლა არ ყოფილა.

სიტყვა გადაეცა ბატონ ალექსანდრე ახალკაცს (ა(ა)იპ „ახალგაზრდები ახალგაზრდობისა და მომავლისათვის"), რომელმაც ისაუბრა დაკვირვების საკითხთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ მოუწია საჩივრის დაწერა ერთ-ერთი სადამკვირვებლო ორგანიზაციისთვის, რადგან უბანზე ქმნიდნენ აჟიოტაჟს და ხელს უშლიდნენ ამომრჩევლებს, მიეღოთ მონაწილეობა ხმის მიცემის

პროცესში. ერთ ორგანიზაციას სივრცეში ჰყავდა 3 წარმომადგენელი კონკრეტულ უბანზე. შესაბამისად, დაიწერა საჩივარი, თუმცა, ამის მიუხედავად, არ ტოვებდნენ საარჩევნო უბანს.

დღის წესრიგის შესაბამისად, სიტყვა გადაეცა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს, ბატონ ალექსანდრე დარახველიძეს. მან აღნიშნა, რომ მარნეულში დაფიქსირებულ ინციდენტთან დაკავშირებით იმავე დღეს დაიწყო გამოძიება შინაგან საქმეთა სამინისტრომ. პროკურატურამ ბრალი წაუყენა 2 პირს, რომელთაც აღმკვეთი ღონისძიების სახით შეეფარდათ პატიმრობა. გამოძიება დაწყებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 163[3] არჩევნების გაყალბების მუხლით, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 2 წლამდე ვადით; დანარჩენი კი, სასამართლო განხილვის საკითხია. მისი თქმით, ზოგადად, არჩევნების დღეს შინაგან საქმეთა სამინისტრო ყველა უბანზე იყო მობილიზებული, სათანადო საპოლიციო რაოდენობა იყო წარმოდგენილი. გარდა ამისა, შექმნილი იყო სპეციალური შემოვლის ჯგუფები, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში ეხმარებოდნენ საარჩევნო უბანს. მათი მთავარი ამოცანა იყო კენჭისყრის დღეს საარჩევნო უბანზე წესრიგის დაცვა და კენჭისყრის შენობაში კომისიის თავმჯდომარისთვის სათანადო დახმარების გაწევა, თუკი კონკრეტული პირების მხრიდან ხდებოდა წინააღმდეგობის გაწევა; გაძევების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, უბნიდან ამ პირების გამოყვანა. გარდა ამისა, შინაგან საქმეთა სამინისტრო საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიის 100-მეტრიან რადიუსზე შეკრების აკრძალვის ნორმის აღსრულებას უზრუნველყოფდა. კანონში არის ჩანაწერი, რომლის თანახმადაც, ჯერ უნდა იყოს გაფრთხილება და თუკი გაფრთხილებას არ ემორჩილება პირი, ამის შემდეგ – დაჯარიმება. შესაბამისად, დაჯარიმების ფაქტი არ ყოფილა. არჩევნების დასრულების შემდგომ, სანამ საარჩევნო უბანი არ დაიშალა, ადგილზე იყო შინაგან საქმეთა სამინისტრო და საარჩევნო კომისიაში გადასვლა უზრუნველყო პოლიციამ რაიმე ინციდენტის თავიდან აცილების მიზნით. გადათვლის პერიოდშიც მიმდებარე პერიმეტრს აკონტროლებდა შესაბამისი ჯგუფი. რაც შეეხება გამოძიებებს, სხვადასხვა მუხლით დაიწყო გამოძიება, რის შესახებ ინფორმაციაც მიეწოდა ეუთო-ს და ასახულია ანგარიშშიც.

მან ისაუბრა მედიამონიტორინგის შედეგად მიღებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა არჩევნების დღეს, 26 ოქტომბერს ხობის რაიონულ სამმართველოში დაწყებულ გამოძიებას სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით. ამ ეტაპზე გამოძიებით დგინდება, რომ 26 ოქტომბერს, საპარლამენტო არჩევნების დღეს, ნათია

გაბისონია, რომელიც არის „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი, დაახლოებით, 12:00 საათზე იჯდა ქალაქ ხობში, №1 საარჩევნო უბნის მიმდებარედ, 100 მეტრის მოშორებით მალხაზ ნარსიას მიკროავტობუსში, რა დროსაც მანქანასთან მძღოლის მხრიდან მივიდა „ერთიანობა – ნაციონალური მოძრაობის“ ხობის ორგანიზაციის თავმჯდომარე ვიტალი ყორშია. ნათია გაბისონიას მიმართ აგრესიულად განწყობილმა მას დაუწყო ყვირილი, გინება და შეურაცხყოფის მიყენება, შემდგომ სწვდა ქურთუკის საყელოზე და მოქაჩა. ამავე დროს, სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა გიორგი ლატარიას და მამისა ქირიას. ეს უკანასკნელი გამოესარჩლა ნათია გაბისონიას და ყორშიას მოუწოდა წესრიგისკენ. ამის შემდგომ ვიტალი ყორშია გაემართა მიკროავტობუსისკენ, სადაც იმყოფებოდა „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი ჯამბულ შაკია, მასაც მოქაჩა ხელით და მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა. შესაბამისად, ამ ფაქტზე მიმდინარეობს საპროცესო და საგამოძიებო მოქმედებები.

ბატონმა ალექსანდრემ ისაუბრა მედიამონიტორინგის შედეგად მიღებულ შემდგომ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა ყიზილაჯლოში, 74-ე საარჩევნო უბანზე ფიზიკური დაპირისპირების ფაქტს. მისი თქმით, დაწყებულია გამოძიება მარნეულის რაიონულ სამმართველოში სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით (მარნეულის რაიონის სოფელ წერეთელში მცხოვრებმა პარტია „ერთიანობა – ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა გიორგი მუმლაძემ საარჩევნო უბანზე გაუშვა ე.წ. წიწაკის სპრეი, რასაც მოჰყვა ფიზიკური დაპირისპირება „ერთიანობა – ნაციონალური მოძრაობის“ მარნეულის ორგანიზაციის თავმჯდომარეს, ამავე პარტიის აქტივისტს, პარტია „ქართული ოცნების“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატსა და ამავე უბნის პარტია „ქართული ოცნების“ დამკვირვებელს შორის. მათ ერთმანეთს მიაყენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა. შემთხვევის შედეგად „ერთიანობა – ნაციონალური მოძრაობის“ მარნეულის ორგანიზაციის თავმჯდომარე გადაყვანილ იქნა მარნეულის „ავერსის“ კლინიკაში. ექიმების განმარტებით, მას აქვს ცხვირის დაზიანება და უტარდება შესაბამისი სამედიცინო მკურნალობა. საქმეზე მიმდინარეობს საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები. ამ საკითხთან მიმართებით, ბატონი ალექსანდრეს თქმით, ჯერ ჯერობით შემაჯამებელი გადაწყვეტილება მიღებული არ არის.

ბატონი გივი მიქანაძის („ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“) თქმით, ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლები საუბრობენ არჩევნების მითიურ გაყალბებაზე, თუმცა, ამის მიუხედავად, არცერთი ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი არ ესწრება მიმდინარე

კომისიის სხდომას, არანაირი პოზიციის წარმოდგენის სურვილი არ აქვთ, რაც იმაზე მიუთითებს, რომ რეალურად არც არაფრის წარმოდგენის შესაძლებლობა აქვთ. პარტია „ქართულ ოცნებაში“ ჩატარდა აღმასრულებელი მდივნის ბრიფინგი. შესაბამისად, ბატონმა გივიმ აღნიშნა, რომ 2 საკითხზე სურდა ყურადღების გამახვილება. რიგ უბნებში წილისყრის შედეგად ოპოზიციის წარმომადგენელ წევრებს წილად ხვდათ გადასატანი ყუთის წაღება. მოქალაქეებთან მისვლისას (ვინც კანონის შესაბამისად დარეგისტრირებულნი იყვნენ კონკრეტულ საარჩევნო უბანზე), გაუჩნდათ ეჭვი, რომ აპირებდნენ ხმის მიცემას მმართველი გუნდის სასარგებლოდ. შედეგად, ამ ამომრჩევლებს ხელი არ მოაწერინეს შესაბამის უწყისზე, რის გამოც მათი ხმები გაბათილდა. შემდგომში, ამ ხმების საერთო ყუთში განთავსება ვერ მოხერხდა, რადგან არ არსებობდა შესაბამისი ხელმოწერები. დალუქული ყუთი გადაიგზავნა საოლქო საარჩევნო კომისიაში. თუმცა, საარჩევნო კომისიას უფლება აქვს, გახსნას ყუთი იმ შემთხვევაში, თუკი კომისიის 2/3 მხარს დაუჭერს. ოპოზიციამ მხარი არ დაუჭირა, რაც მიუთითებს მათ მიზანმიმართულ ქმედებაზე. ამომრჩევლებს წაართვეს ხმის მიცემის უფლება და გააკეთეს ყველაფერი, რომ ეს ხმები არ ჩათვლილიყო. არაერთი ანალოგიური ფაქტია დაფიქსირებული. რეალურად, მიმდინარეობს სხვა უბნებიდან შესაბამისი მტკიცებულებების მოგროვება.

რაც შეეხება მეორე ფაქტს, პარტია „ქართულმა ოცნებამ“ ჩაატარა გამოკითხვა მხარდამჭერებთან დაკავშირებით ე.წ. კარდაკარის პრინციპით. ამ ეტაპისთვის დადასტურებულია, რომ წინასწარი გამოკითხვის შედეგად პარტია „ქართული ოცნების“ 81 მომხრე და მხარდამჭერი არჩევნების დღეს სიაში არ აღმოჩნდა – კონკრეტული ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების მიერ წარმომადგენლებად განწესებულნი იყვნენ საერთოდ სხვა უბნებში. მაგალითად, რაჭის ამომრჩეველი იყო საბურთალოზე და ა.შ., რაც, ფაქტობრივად, ტერიტორიული პრინციპიდან გამომდინარე, ვერ მისცემდა ამომრჩეველს საშუალებას, გამოეხატა ნება და მიეღო მონაწილეობა კენჭისყრის პროცესში. ბატონი გივის თქმით, პარტია „ქართულმა ოცნებამ“ გადაწყვიტა, შესაბამისი ოფიციალური წერილით მიემართა საქართველოს პროკურატურისათვის, ვინაიდან ეს საქმეები საჭიროებს დეტალურ შესწავლას, გამოძიებას და ყველა იმ პირის პასუხისმგებლობაში მიცემას, ვინც ამ მოქალაქეებს წაართვა ხმის მიცემის კონსტიტუციით გათვალისწინებული უფლება. ასეთი შემთხვევების რაოდენობა იზრდება და, სავარაუდოდ, ასცდება 81-ს. ბატონმა გივიმ აღნიშნა, რომ ეს არის ერთგვარი სქემა, რომლითაც ოპოზიცია ცდილობს, კონკრეტული მოქალაქეების ხმები დაეკარგათ და არ მიეცათ საშუალება, მიეღოთ არჩევნებში მონაწილეობა.

ბატონმა გრიგოლ გაგნიძემ (ა(ა)იპ „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორიის“ თავმჯდომარე) კითხვით მიმართა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს, ბატონ გიორგი შარაბიძეს, წარმომადგენლების დანიშვნასთან დაკავშირებით.

ბატონი გიორგის განმარტებით, ყველა წარმომადგენელი ინიშნება ონლაინ პლატფორმის მეშვეობით. ამ შემთხვევაში, ყველა დონის კომისიის წევრის დანიშვნა არის დამნიშნავი სუბიექტის პრეროგატივა და, ფაქტობრივად, ცენტრალური საარჩევნო კომისია ცნობად იღებს ინფორმაციას. მას არავითარი ბერკეტი არ გააჩნია; არა თუ ვინმეს დანიშვნას, მის გათავისუფლებასაც კი სასამართლოს გადაწყვეტილება სჭირდება. აღნიშნული ბაზები აქვს ცესკო-ს და თუკი რომელიმე უწყება დაინტერესდება ინფორმაციის მიმოცვლით, ყველა მასალა გადაიგზავნება. ბატონმა გიორგიმ აღნიშნა, რომ ისტორიაში პირველად, თავად ცესკო იყო ინიციატორი, დაწყებულიყო გამოძიება პროკურატურაში, მაღალი სტანდარტით გამოკვლეულიყო შესაძლო ნებისმიერი საკითხი და სპეციალური განცხადებით მიმართა მას.

დასასრულ, კომისიის თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ მიმართა კომისიის სამდივნოს, მოწვეულ იქნეს პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენელი უწყებათაშორისი კომისიის სხდომაზე განმარტებისთვის პრეზიდენტის მიერ გაკეთებულ განცხადებასთან დაკავშირებით, სადაც მან ახსენა „არჩევნების ტოტალური გაყალბება“.

ბატონმა რატიმ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ უკვე მე-10 კომისიის სხდომაა და არცერთი ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი არ ესწრება სხდომას. მან თხოვნით მიმართა საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციებს, რომ თავიანთ დასკვნაში ასახონ ამის შესახებ.

კომისიის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა კომისიის წევრებს, დამსწრე პირებსა და საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციებს კომისიის მუშაობაში ჩართვისთვის.

კომისიის თავმჯდომარე: რატი ბრეგაძე

კომისიის მდივანი: მანანა ბეგიაშვილი